საქართველო-რუსეთის ურთიერთობები,

დაძაბულობისა და განმუხტვის ფაზები

ნათია კოდუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების (პოლიტიკის მეცნიერებების) მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (პოლიტიკის მეცნიერებები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლაშა დარსალია, საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია კოდუა, 02.07.2015

აბსტრაქტი

მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს და მათ ცვლილებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, როგორიცაა, მაგალითად, საქართველოს აქტიური ჩრდილო-კავკასიური პოლიტიკა, ხელისუფლებაში ემოციური ლიდერების მოსვლა, არასწორი საგარეო პოლიტიკა და სხვა მრავალი, რეალობა იმაზე მეტყველებს, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთი დაჟინებით მოითხოვს, მსოფლიომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია რუსეთის „ექსკლუზიური გავლენის სფეროდ“ სცნოს. მოცემულ კვლევაში განხილულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დაძაბულობისა და განმუხტვის განმაპირობებელი 4 შესაძლო ფაქტორი, რომელთა შედარებისა და რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ რუსეთის რევანშისტული საგარეო პოლიტიკა უცვლელი იყო დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ იყო რუსეთის ხელისუფლებაში, ხოლო თავად რუსეთის პოლიტიკა აღნიშნულ საკითხზე იცვლებოდა მხოლოდ და მხოლოდ გამომდინარე რუსეთის შესაძლებლობიდან და გაიარა რამდენიმე სტადია „რბილიდან“ (ელცინის პერიოდი) ხისტისკენ (პუტინის პერიოდი), სწორედ რუსეთის შესაძლებლობების ზრდასთან ერთად. კვლევამ აჩვენა, რომ რუსეთი, რომელსაც თავი დამოუკიდებელ ცივილიზაციად მიაჩნია, რასაც გეოგრაფიული, ეთნიკური, რელიგიური, დემოგრაფიული, ისტორიული, მენტალური და სხვა ფაქტორების ერთობლიობაც განაპირობებს, ასრულებს ერთგვარ მისიას, რაც დასავლეთთან დაუსრულებელ კონკურენციაში გამოიხატება, ხოლო საქართველო, როგორც რუსეთის მომიჯნავე სახელმწიფო და ამასთან აღნიშნული კონკურენციის ერთ-ერთი სფერო, იძულებულია დაიცვას თავი კრემლის იმ პოლიტიკისგან, რომელსაც იგი ბოლო 25 წელიწადის განმავლობაში სწორხაზოვნად ახორციელებს.

საძიებო სიტყვები: <u>საქართველო, რუსეთი, საგარეო პოლიტიკა, ფაქტორი.</u>

Abstract

Despite the well-known idea, that relations of Georgia-Russia and changes in it are stipulated by many factors, such as Georgia's active North-Caucasian politics, appearing emotional leaders in the government, wrong foreign policy and many others, however, reality shows that from 90s Russia requires from entire world to recognize former Soviet Union territory as an "exclusive influence sphere' of Russia.

In the above discussed research are given 4 possible factors, that can stipulate discharging tension of Georgian-Russian relations, that appeared on the basis of comparative and retrospective analysis and shows that revanchist policy of Russia remained unchanged in spite of who was in the government of Russia and in particular Russia's policy on the above-mentioned issues was only changing because of the possibilities of Russia and went through some stages from "soft" (period of Yeltsin) to hard(period of Putin), along with the increase of Russia's possibilities. The research has shown that Russia, who considers itself as an independent civilization, that is considered because of geographical, ethnic, religion, demographic, historic, mental and other factors, fulfils some kind of mission, that is expressed in the endless competition with the west and Georgia, as the bordering state of Russia is obliged to depend itself from the policy of Kreml, that is executing it for last 25 years.

Search words: Georgia, Russia, Foreign policy, factor .